რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **კვირიკაძე** (ადრ.).

ზესტაფონი

10 იანვარს გაიხსნა ზესტაფონის მეორე პარტკონფერენცია. კონფერენციას მიესალმენ ტყვარჩელის, ჭიათურის, ზესტაფონის მრეწველობის, ზესტაფონის რაიკომის, ზესტაფონის ქალაქკომის, ზესტაფონის ქალაქსაბჭოს, ზესტაფონის ქალაქკომკავშირის, ზესტაფონის ქალაქკომპიონერის

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაობის გარდაქმნა

საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 5 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ნელი ტემპით მიმდინარეობს

უზრუნველვყოთ სკოლები პოლიტექნიკური სახელოსნოებით და პოლიტექნიკურად მომზადებული მასწავლებელთა კადრებით

„თვითეულ რაიონსა და ყველა ქალაქებში უნდა შეიქმნას სანიმუშო სკოლების ქსელი. ჩავაყენოთ ისინი უფრო ხელსაყრელ მატერიალურ პირობებში და თავი მოვუყაროთ იქ საუკეთესო პედაგოგიურ ძალებს იმ ანგარიშით, რომ გასწავლებლობის მასებს, მუშებს, კოლმეურნეებს და მოსწავლეებს შეეძლოთ მათგან პრაქტიკულად შეისწავლონ პოლიტექნიკური სკოლის მშენებლობა“

(საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილე ბიდან)

„კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდი

საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილების შემდეგ, „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ“ უკვე ოთხი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საფუძვლიანი გარდატეხა უნდა მომხდარიყო ჩვენი სკოლების მუშაობაში. ეს დადგენილება წარმოადგენდა ერთის მხრით იმ ნაკლოვანებების აღნიშვნას, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნია საბჭოთა სკოლას და მეორე მხრით იგი შეიცავდა იმ გზებსა და საშუალებებს, როგორც უნდა შესწორებულიყო ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაობა—რეკონსტრუქციულ პერიოდის გაზრდილ მოთხოვნილებების საფუძველზე. მაგრამ ამ მხრით ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია თვალსაჩინო შედეგებისათვის. პარტიულ - საბჭოთა, პროფესიონალურ და სამეურნეო - კოოპერატიულ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ არ მოქცეულა კატას ამ ისტორიული დოკუმენტის შესრულების ამოცანა. ამასვე უნდა დაემატოს განათლების ორგანოების ბიუროკრატიული უყურადღებობა დადგენილების ფართო მასებში დამუშავებისადმი.

მთავარი ნაკლი, რომელიც ახასიათებს საბჭოთა სკოლას, ნათქვამია კატას აღნიშნულ დადგენილებაში ეს არის ის, რომ საბჭოთა სკოლა მოწაფეებს ვერ აძლევს საერთო განათლებას. ჩვენს სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებას (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და ისტორია).

საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული სასწავლო პროგრამების შეცდომურ-მარქსისტულად დამუშავების აუცილებლობა. ზედმეტია ლაპარაკი სკოლის მუშაობის ხარისხზე, თუ სკოლას არ ექნება მარქსისტულ - ლენინური სასწავლო პროგრამა. სკოლის მუშაობა და მოწაფეთა მარქსისტულ-ლენინურად აღზრდა დიდათ არის დამოკიდებული სასწავლო პროგრამის ხარისხზე. მაგრამ საბჭოთაში არც ამ მხრივ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა.

როგორც ირკვევა თბილისის სკოლები კვლავ ძველ პირობებში მუშაობენ. თბილისის სკოლების მუშაობაში ცკ-ის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ არ მომხდარა საფუძვლიანი გარდატეხა.

სწავლება გეგმისა და პროგრამის გარეშე

მიმდინარე სასწავლო წელში საქ. განსახკომმა გამოაქვეყნა დაწყებითი და საშვალო სკოლის სასწავლო პროგრამები. აღნიშნული პროგრამები მთლიანად შედგენილი იყო ე. წ. „პროექტების - მეთოდის“ საფუძველზე, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის მიერ უარყოფილია და მიჩნეულია, როგორც ანტილენინური მეთოდი. „პროექტების მეთოდით“ მუშაობას ჩვენ მივყავართ სკოლის გაუქმებამდე, მასწავლებლის როლის გაუთვალისწინებლობამდე სკოლაში პოლიტექნიზაციის შეუფასებლობამდე. ვიდრე პრაქტიკაში გატაცებამდე და ს/ს. საკ. კ. პ. (ბ) ც. უარყო რა პროგრამების შედგენის ეს მთელი მეთოდი, წინადადება მისცა განათლების ორგანოებს, დაეყოვნებინათ შესდგომოდენ სასწავლო პროგრამების გადასინჯვას იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის პირველ იანვრისათვის სწავლა უნდა დაწყებულიყო ახალი პროგრამებით.

მაგრამ განსახკომმა რატომღაც არ სცნო საჭიროთ სკოლებში უკვე დაგზავნილ პროგრამების გაუქმება და არ შეიწუხა თავი ახალი პროგრამების შედგენით. ჩვენი გაზეთის დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდმა სამართლიანად მიუთითა ამაზე განსახკომს (იხ. „კომუნისტი“-ს 30 სექტემბერი) მაგრამ მდგომარეობა არც ამის შემდეგ გამოსწორებულა.

ოქტომბერში განსახკომმა ცირკულიარული წერილით მიმართა ყველა რაიგანათლების განყოფილებებს და სკოლებს (ეს წერილი წიგნათაც გამოიცა) გამოცემული პროგრამებით მუშაობის დაწყების შესახებ. სხვათაშორის განსახკომი ამ წერილში სწერდა, რომ პროგრამების მიცემული პროექტები გამოიყენეთ კომპლექტიური დამუშავებისათვის. ნამდვილად განსახკომი არ უარყოფდა გამოცემულ პროგრამებს, პირიქით იგი მას იცავდა და სკოლებს წინადადებას აძლევდა, რომ პროექტები—კომპლექსურ თემათა დამუშავებიათ.

ამ წერილმა რაიონებში კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. შეუძლებელი გახდა სკოლებში საწარმოო გეგმების შედგენა და ნორმალური მეცადინეობის დაწყება. განსახკომი კი ახალ პროგრამებს არ ადგენდა.

მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა განსახკომმა მეორე ცირკულიარული წერილი, რომლითაც აკრძალა 1931 წელში გამოცემული პროგრამებით სწავლება. მაგრამ ეს საკითხს არ სწყვეტს. თუ რომელი პროგრამით უნდა იმუშაოს სკოლამ, ამის შესახებ მითითებები არც ამ წერილში მოცემული. ნამდვილად დღეს **არც ერთ სკოლას არ აქვს სასწავლო პროგრამა.** ამიტომ ზოგიერთ რაიონებში 1927 წლის პროგრამებით ასწავლიან. (მაგ. ბორჩალოში).

პროგრამების უქონლობის გამო მთელ რიგ სკოლებში აგრეთვე არ არის შედგენილი სკოლის საწარმოო გეგმები. სკოლები დღეს ამიტომ უფრო მეტად გართულნი არიან პრაქტიკული საქმიანობით, ხოლო თეორიული მეცადინეობას ნაკლები ყურადღება ექცევა.

მზადება ახალი პროგრამების შედგენისათვის სუსტია. მთელ რიგ რაიონებში ჩატარდა პროგრამულ - მეთოდიური კონფერენციები, რომლებზედაც მხოლოდ ფორმალურად დამუშავდა კატას დადგენილების ის ნაწილი, რომელიც პროგრამებს შეეხება. არ განიხილებულა ინიმუთის, თუ როგორ უნდა შესწორებულიყო გამოცემული პროგრამები, არ გამომუღავნებულა ის „მემარკხენე“ ხასიათის შეცდომები, რომლებიც გამოცემულ პროგრამებს ახასიათებს. უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდიური - პროგრამულ მუშაობაში სრულიად არ არიან გამოყენებული გამოცდილი მასწავლებლები, რაც ყოველად დაუშვებელია. საჭიროა ახალი პროგრამების დაჩქარებით შედგენა და მეთოდიური მუშაობის გარდაქმნა.

პოლიტექნიზაცია ფორმალურად ტარდება

პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს სკოლების პოლიტექნიზაციას. პირველ პოლიტექნიკურ ყრილობის დადგენილების თანახმად სკოლების პოლიტექნიზაცია გამოცხადებულია არა მარტო განათლების ორგანოების, არამედ ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და სამეურნეო - კოოპერატიულ ორგანიზაციების საქმედაც.

სკოლის პოლიტექნიზაცია პირველ ყოვლისა გულისხმობს სკოლის წარმოებასთან დაახლოვებას და მოწაფეებში პოლიტექნიკური ჩვევების გამოსამუშავებლად პოლიტექნიკური სახელოსნოს მოწყობას თვითეულ სკოლაში. სკოლის წარმოებასთან დაკავშირება ხდება სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებაში უნდა იყოს აღნიშნული, როგორც წარმოების, ისე სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებანი. ამის შესახებ საკ. ს. მ უ. ს. საბჭომ გარკვეული დირექტივა მისცა აგრეთვე კოლმეურნეცენტრმა ყველა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს. დაიდო სკოლებსა და წარმოებებს შორის ხელშეკრულებები, მაგრამ ოცი არ უპასუხებდა იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც აყენებს პოლიტექნიკური სკოლა. არსებული ხელშეკრულებები ფორმალურია. ისინი არ ითვალისწინებენ სკოლის ნამდვილ საჭიროებას. ხშირად ხდება ისე, რომ სკოლა ვერ იღებს იმ დახმარებას, რომელიც მას ხელშეკრულებით აქვს გათვალისწინებული. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ ზოგიერთ სკოლებს ხელშეკრულებით აქვთ ნაკისრი ნაკვეთის მიცემა სკოლისათვის, მაგრამ ეს ნაკვეთი ან სრულიად არ არის გამოყოფილი, ან ძალიან ცოტაა. ასეთ პირობებში სკოლა ვერ ახერხებს ნაკვეთის სათანადო დამუშავებას. ასეთივე ხასიათისაა ხელშეკრულებები ტრანსპორტის სკოლებთან. ხელშეკრულებებში არ არის ნათქვამი, რომ სკოლა ვალდებულია ტრანსპორტის ორგანოებს მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ამ ორგანოებს ესაჭიროებათ. ხელშეკრულებებში არ არის ნათქვამი, რომ ტრანსპორტის ორგანოები ვალდებულნი არიან სკოლას მისცენ ლოკომოტივი, ვაგონი, ნაწილები და სხვ. ასეთი ხასიათის ხელშეკრულებები ფორმალურია და ამიტომ ვერ ასრულებს სკოლის პოლიტექნიზაციის ამოცანას.

პოლიტექნიკურ საგნებს ზეპირად ასწავლიან

პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს მასწავლებლებს მეორე საფეხურის სკოლებისათვის — ვერ აძლევს სტუდენტებს სათანადო პოლიტექნიკურ მომზადებას. ინსტიტუტში ისწავლება პოლიტექნიკური საგნები, როგორიც არის **მასალათა ტეხნოლოგია. მანქანათმცოდნეობა** და სხვ., მაგრამ ამ საგნებს უფრო მეორე ხარისხოვან მნიშვნელობას აძლევენ. ინსტიტუტს არ აქვს პოლიტექნიკური სახელოსნო, რის გამო **პოლიტექნიკურ საგნებს ზეპირად ასწავლიან.** ნამდვილად მსჯელობისათვის სრულიად გაუგებარია თანამედროვე ტეხნიკის განვითარება და მისი გამოყენება სოციალისტურ მეურნეობაში. ცხადია ასეთ პირობებში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს ამ საგნების სწავლებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტექნიკურ საგნებს პედინსტიტუტში არც საათების მიცემის მხრივ ექცევა სათანადო ყურადღება. ასე მაგ. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მე-3 კურსზე მასალათა ტეხნოლოგიას და მანქანათმცოდნეობას დათმობილი აქვს მხოლოდ ოთხ - ოთხი საათი დეკადაში.

ინსტიტუტში უნუგეშო მდგომარეობაშია აგრეთვე ფიზიკის სწავლების საქმეც. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, სადაც უმთავრესი სადარი ფიზიკა არის — მას მხოლოდ 4 საათი აქვს დათმობილი დეკადაში. ეს იმ დროს, როდესაც საკ. კ.პ. (ბ) ცკ-ის დადგენილებით, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის და სხვა მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ასეთ პირობებში პოლიტექნიკურად მომზადებული მასწავლებლების აღზრდა შეუძლებელია. პედაგოგიურ ინსტიტუტში სადაც მზადდება მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებლები — სანიმუშოდ უნდა იყოს დაყენებული პოლიტექნიკური საგნების სწავლება.

მასწავლებლები მოუმზადებელია

საკ. კ.პ. (ბ) ცკ-ის დადგენილებაში სკოლის შესახებ, მთავარი ყურადღება აქვს ამგრეთვე მიქცეული მასწავლებელთა უფლებრივ - მატერიალურ მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესების საკითხს. აღნიშნული დადგენილების თანახმად მასწავლებლები გათანასწორებული არიან დუსტრიალურ მუშებთან სამრეწველო საქონლით და საკვები პროდუქტების მომარაგების მხრივ. გამოცემულია აგრეთვე საკ. შრომისა და თაღდაცვის საბჭოს სპეციალური დადგენილება (1931 წლის 28 ოქტომბრის) პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთა მომარაგებისა და ხელფასის გადიდების შესახებ და საქართველოს სახალხო კომისარიატმა და „ცკაკავშირის“ გამგეობამ დაუშვებელი უყურადღებობა გამოიჩინეს ამ უმნიშვნელოვანესი დირექტივების შესრულებისადმი. მასწავლებელთა მომარაგების შესახებ დაგვიანებით დაეგზავნა ცნობები ადგილებს. (მაგ. ქუთაისის ცნობა მასწავლებელთა მომარაგების შესახებ მიიღეს მხოლოდ 12 დეკემბერს) მასწავლებლებისათვის გამოყოფილი საქონელი არ მიდის მომხმარებლამდე და ხმარდება სულ სხვა დანიშნულებას. განსაკუთრებით ცუდია მასწავლებელთა კომუნალური მომსახურეობა (ბინა, განათება სათბობი მასალით მომარაგება). მთელ რიგ რაიონებში (ზესტაფონი, გურჯაანი, ადიგენი და სხვ.) მასწავლებლები უბინაოდ არიან. ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ზომებს არ იღებენ მასწავლებლების ბინებით უზრუნველყოფისათვის. ამის გამო ადგილი ქონდა მასწავლებლების მასიურ „გაქცევას“ სკოლებიდან. ადგილი აქვს გარეთვე მასწავლებელთა ხელფასის „მომემარცხენეო“ წარიმართა ბურჟუაზიულ განთანაბრების პრაქტიკას. არ არის განსხვავება კვალიფიკაციურსა და ნაკლებად კვალიფიციურ პედაგოგებს შორის, რაც უკარგავს სტიმულს მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სახალხო განათლების ორგანოებმა ადგილებზე ვერ შესძლეს დაკავშირებიათ საწარმოო ხასიათის საკითხები მასწავლებელთა მუშაობის პირობების გაუმჯობესებასთან, რის გამოც შეფერხდა საყოველთაო - სავალდებულო სწავლების მთლიანად გატარება.

მოუწესრიგებელია აგრეთვე მასწავლებელთა ხელფასის გაცემის საკითხიც. მთელ რიგ რაიონებში (ჩოხატაური, ოზურგეთი, ხონი, წალენჯიხა, მარტვილი; ზესტაფონი; სტალინისი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, და სხვა.) მასწავლებლებს არ მიუღიათ 2, 3, 4 და 5 თვის ხელფასი. მასწავლებელთა ხელფასის ასე ზღალური დაგვიანება გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი რაიონმასკომები ხელფასის ფონდებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ. მაგ.: ოზურგეთის რაიონმასკომმა მასწავლებელთა ხელფასიდან 104.000 მანეთი დახარჯა ამხმასკომის სახლის აგებისათვის. თინანდთა სახალხო კომისარიატმა ვერ შესძლო მასწავლებელთა ხელფასის დაგვიანების ლიკვიდაცია. საჭიროა ძირშივე აღიკვეთოს მასწავლებელთა უფლებრივი მატერიალურ მდგომარეობის ასეთი შეუფასებლობა. ურყეველად უნდა გავატარო ცხოვრებაში საქ. კ.პ.(ბ) ც.კ. სკის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის 21 დეკემბრის დადგენილება „მასწავლებლების მომარაგების და მატერიალური — საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ“.

აღმოფხვრათ გაუკირკვნელობა სკოლაში

დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობაში დღემდე ადგილი აქვს გაუპირობნებას. ზოგიერთ მასწავლებლები და განათლების ორგანოები სრულებით არ გრძნობენ პასუხისმგებლობას დაკისრებულ ვალდებულებების შესრულებისათვის. განათლების ორგანოები და განსაკუთრებით განათლების მუშაკთა კავშირი, სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თუმცა გაიხსნა რამდენიმე „სტაციონალური და დაუსწრებელი კურსები, მაგრამ როგორც ლექტორთა, ისე მსმენელთა დაუდევრობით აღნიშნული კურსები ჩაშლის გზაზეა დამდგარი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დაუსწრებელ პედაგ. ინსტიტუტის სუსტი მუშაობა. აღნიშნულ ინსტიტუტში არ სწარმოებს ინსტიტუტის არავითარი გეგმიანი მუშაობა. ჯერ არ დამუშავებულა არც ერთი საგანში განაკვეთების პროგრამები, ინსტიტუტს ადმინისტრაცია ამკარა ოპორტუნისტულ თვითდინებაზეა დაყრდნობილი. ინსტიტუტში უკვე 6 თვეა მეცადინეობა დაიწყო (!) და ჯერ არც ერთ საგანში განაკვეთი არ გადაუციათ მსმენელებისათვის.

აღმაშფოთებელია აგრეთვე ის, რომ ინსტიტუტის დირექციამ დღემდე ვერ გამოუძებნია ქართული ენის ხელმძღვანელი მასწავლებელი. ამ ერთი თვის წინად ქართულ ენის პროგრამის მიხედვით პირველი განაკვეთის შედგენა დაევალა **პროფ. აკ. შანიძეს,** მაგრამ დირექციამ მის მიერ შედგენილი განაკვეთი არ მიიღო და დავალების შედგენა დაავალა **დ. კარბელაშვილს,** გამოირკვა რომ დირექციას არც კარბელაშვილის მიერ შედგენილი განაკვეთი არ მიუღია. სასწავლო წლის პირველი სემესტრი უკვე გავიდა და დღემდე გრძელდება პირველი განაკვეთის შედგენისათვის დავა. ცხადია მუშაობის ასეთი „ტემპებით“ დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანას.

ზოგიერთ ტეხნიკუმებსა და საქ. საფ. სკოლებში დღემდე კიდევ მაგრათ აქვს ფეხი მოკიდებული გაუპირობნებას. ხშირად ერთი ტეხნიკუმის მასწავლებელი სხვა ტეხნიკუმებიც ასწავლის. ზოგიერთი მასწავლებელი იღებს იმდენ საათებს, რომელიც ბევრად აღემატება მის თავისუფალ დროს. ამის გამო ხშირად აცდენს გაკვეთილებს, ვერ ასრულებს მოცემულ სასწავლო პროგრამას და სხვ. საჭიროა ასეთ უპასუხისმგებლობას ბოლო მოეღოს.

განსახკომმა დაკვრითი წესით უნდა შესძლოს უმოკლეს ვადაში დაწყებითი და საშუალო სკოლების პროგრამებით დაკმაყოფილება სკოლების პოლიტექნიზაციის გატარებას უნდა გაუწიოს ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა. სათანადოთ უნდა მომარაგოს პოლიტექნიკური სახელოსნოები, მიაწოდოს სკოლებს პოლიტექნიკურად მომზადებული მასწავლებლები და ნამდვილად განახორციელოს სკოლების წარმოებაზე მიმაგრება. უნდა გაუმჯობესდეს მასწავლებელთა უფლებრივი მატერიალური მდგომარეობა, ბოლო უნდა მოეღოს

სარემონტო ქარხანა და დეპო ჩაეგვენ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახელოგბის ბრიგადაში

მუშები და ინჟ.-ტეხნიკური ძალები კისრულობენ ხუთწლედის მეოთხე, უკანასკნელი წლის გეგმების ვადაზე ადრე შესრულებას

სტალინელები ესალმებიან ბაქოს პროლეტარების გამოწვევას

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ ვაგონების სარემონტო ქარხანაში შესდგა მიტინგი, რომელზედაც განხილულ იქნა ამიერ - კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავის მოსალხენად დადებულ ბელხელშეკრულებებთან დაკავშირებით ბაქოს ლენინის რაიონის მეორე და მეხუთე სარეწაოების მუშაკების გამოწვევა ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გამოწვევამ სტალინის სახელობის ქარხნის მუშებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. 1932 წლის პირველ კვარტალში ამწყობ საამქროს უნდა გამოეშვა 85 ორთქლმავალი. მიტინგზე ბაქოს მუშების გამოწვევასთან დაკავშირებით ამწყობ საამქროს მუშებმა წამოაყენეს შემხვედრი გეგმა, რომლის ძალით პირველ კვარტალში 85 ორთქლმავალის ნაცვლად გამოშვებული უნდა იქნას 87 ორთქლმავალი.

ასევე გაადიდეს თავიანთი გეგმები ქარხნის სხვა საამქროებმაც. მიტინგზე მუშები იძლეოდნენ ბოლშევიკურ დაპირებას, რომ ამიერ - კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავისათვის გეგმებს გადაჭარბებით შეასრულებენ. ამ დაპირების განაღდებისათვის მიტინგზე ჩამოყალიბდა დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას.

ჩ.

თბილისის დეპოს მუშების და ინჟენერ-ტეხნიკოსების გამოძახილი

ბაქოს ნავთის საწარმოთა მუშების გამოწვევასთან დაკავშირებით, თბილისის დეპოში გაიმართა მუშებისა და ინჟენერ - ტეხნიკოსების გაერთიანებული კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა ჩაებან ა.-კ. ფედერაციის 10 წლის თავის სახელობის მთლიან ბრიგადაში და უზრუნველყონ 5 წლედის მეოთხე და უკანასკნელი წლის საწარმოო დავალებათა ვადაზე ადრე შესრულება.

თბილისის დეპოს მუშებმა და ინჟენერ ტეხნიკოსებმა იკისრეს შემდეგ ვალდებულებათა შესრულება:

თბილისის პარტკონფერენციის შეკრების დროისათვის გეგმაზე ზევით რემონტიდან გამოუშვან 2 ორთქლმავალი და 4 ვაგონი.

მთლიანად შეასრულონ და ცხოვრებაში გაატარონ საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის დადგენილება გაწყვეტილებული სვლის განმტკიცების შესახებ.

ამიერ - კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავისათვის, ავადმყოფ ორთქლმავალთა და ვაგონების პროცენტი დაყვანილ იქნეს ნორმამდე და ნორმის ქვეითაც.

აღმოფხვრილ იქნეს ორთქლმავლებისა და ვაგონების განმეორებითი რემონტი.

1-ლ თებერვლამდე გადაყვანილ იქნან სამეურნეო ანგარიშზე 15 სარემონტო ბრიგადა და მიენიჭოს მათ „ა.-კ. ფედერაციის 10 წლის თავის სახელობის ბრიგადების“ სახელწოდება.

დეპოს ყველა მუშები და ინჟენერ-ტეხნიკოსები კისრულობენ, რომ არ დასტოვონ არც ერთი კაცი ტეხნიკის დაუფლებისათვის ბ[illegible]ალში ჩაუბმელათ. საერთო კრებამ მოითხოვა დეპოს ადმინისტრაციისაგან, რომ დაუყოვნებლივ იქნას გახსნილი ტეხნიკის დაუფლების კურსები და 10 დღის განმავლობაში მოეწყოს მუშა-გამომგონებელთა ექსპერიმენტალური სახელოსნოები დეპოსთან და სავაგონო პარკთან.

ყველა ჩამოთვლილ ვალდებულებათა განსახორციელებლად და საამისოდ დაწყებული პრაქტიკული მუშაობისათვის თვალყურის სადევნებლად საერთო კრებამ გამოაყო სპეციალური ბრიგადა, რომელშიაც შედიან ყველა საამქროების წარმომადგენლები.

მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ დეპოს მუშები შესძლებენ ყველა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას ამხ. სტალინის 6 ისტორიულ მითითების ცხოვრებაში გატარების საფუძველზე.

ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა

დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან მუშაობა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების თანახმად

ჩაის კამპანიის 1931 წლის მეორე ნახევრის შედეგები

„საქართველოს ჩაი“-ს მიერ შეკრებული ცნობების მიხედვით, ჩაის კამპანიის 1931 მეორე ნახევრის გეგმის შესრულების დარგში შემდეგი სურათი გვაქვს:

1932 წლის პირველი იანვრისათვის ჩაისათვის ნიადაგის მომზადების 1931 წლის მეორე ნახევრის გეგმა შესრულებული იყო 49 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებში 46,9 პროცენტით და საბჭოთა მეურნეობებში 60,7 პროცენტით. ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა **აფხაზეთმა** შეასრულა 65,1 პროცენტით და **აჭარისტანმა** 37,4 პროცენტით.

ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებულია:

ბათომის რაიონში	**24,7 %**
ქობულეთის	**41,4 „**
ოზურგეთის	**47,3 „**
ჩოხატაურის	**16,0 „**
ლანჩხუთის	**46,7 „**
სამტრედიის	**20,4 „**
ხონის	**46,5 „**
ოკრიბის	**61,4 „**
სენაკის	**44,9 „**
მარტვილის	**27,0 „**
ზუგდიდის	**97,1 „**
წალენჯიხის	**50,4 „**
ჩხოროწყუს	**72,7 „**
ხობის	**14,3 „**
გალის	**59,2 „**
კოდორის	**74,7 „**

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, **ქუთაისის და ვანის რაიონებს 1931 წლის მეორე ნახევარში ჩაისათვის ნიადაგის მომზადება სრულებით არ უწარმოებიათ,** მიუხედავად იმისა რომ ხსენებულ რაიონებს ამ მიმართულებით გარკვეული დავალებები ქონდათ მიცემული.

1931 წლის მეორე ნახევარში ჩაისათვის **ნიადაგი ტრაქტორებით უნდა მომზადებულიყო** 3165 ჰექტარზე, ეს დავალება ფაქტიურად შესრულებული იქნა 46,9 პროცენტით.

ჩაისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში ყველაზე უფრო **ჩამორჩენენ** შემდეგი რაიონები: **ხობი** (შესრულებული აქვს გეგმის 14,3 პროცენტი), **ჩოხატაური** (შესრულებული აქვს გეგმის 16,0 პროცენტი) და **სამტრედია** (შესრულებული აქვს გეგმის 20,4 პროც.).

ჩაის კამპანიის დავალებები შეიარებით **დამაკმაყოფილებლად შეასრულეს ზუგდიდის, ოკრიბის და ჩხოროწყუს რაიონებმა.**

წარსული წლის გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულების ძირითადი პირობა არის შრომის სწორი ორგანიზაცია, საბჭოთა და კოლმეურნეობებში. იმ კოლმეურნეობებმა, რომელთაც საკოლმეურნეო აღრიცხვა და სანარდო სისტემა სწორად გაატარეს — მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩაისათვის ნიადაგის დამუშავების გეგმების შესრულებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეურნეობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. მთელი რიგი დადგენილებების მიუხედავად საამქროების და ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა დღემდე ვერ მოხერხდა. მეურნეობის დირექტორი ამხ. ბოლქვაძე სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას ოპორტუნისტულად უდგება.

პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა თუმცა დაგვიანებით, მაგრამ გადაჭრით დააყენეს საკითხი, საამქროების და ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ; დირექციამ გამოყო ორი ტეხნიკური მუშაკი, რომლებსაც (მუშათა ბრიგადების მონაწილეობის გარეშე) დაავალეს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა. ცხადია ამ დიდ სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ არის სწორი.

მეურნეობას ყავს რაციონალიზატორი, რომლის დაკვირვების საფუძველზე დაწერილი ნარკვევი უნდა იქნას გამომუშავების ნორმები, მაგრამ დირექტორი **ბოლქვაძე** გამომუშავების ნორმებს არა სცნობს. საბჭოთა პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციები სისტემატიურად არ ეუფლებიან კოლექტიურ ხელშეკრულებებს, ადგილი აქვს ხელფასის უგეგმოდ გადიდებას, ხელშეკრულების წესაზომდე. მეურნეობაში ხელშეკრულების მიხედვით უნდა დაარსებულიყო 200 ტაბასთან პროფტეხნიკური კურსები, ეს კურსები დაარსებული იქნა, მაგრამ აეროფერისოალის უმოქმედობის გამო კურსები იშლება.

ადგილობრივი.

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვერ გარდაქმნა მუშაობა ბელადის მითითებების თანახმად

ნარაზენის საბჭოთა მეურნეობა გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა სპეციალურ ბრიგადის მიერ. ამ მეურნეობაში ყველაფერი რიგზე არ ხარის, მეურნეობამ ვერ შესძლო 1931 წლის გეგმის შესრულება. მუშაობა არ სწარმოებდა წინასწარ შესწავლით და გეგმაზომად. დღემდე არ არის დასრულებული მიწადმოწყობა. სრულიად უთავბოლოთ გაჩეხეს ჩაის პლანტაციების საფარი ტყე და აღმოსავლეთის ქარი, რომელიც ნარაზენში ხშირად იცის, აზიანებს ნარგაობებს. ეხლა მეურნეობას უხდება ახალი საფარის გაშენება.

ყველასათვის ცხადია, რომ გეგმის შესრულების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციის თავის სამაღლეზე დაყენებას. შესაძლო მეურნეობამ ეს? ვერ შესძლო. ცუდათაა დაყენებული მუშათა მუდმივი კადრის შექმნისა და კოლეურნეობიდან ჩაპან მუშა-ხელის მეურნეობაში მიზიდვის საქმე და სხვა. **მუშათა მუდმივი კადრის შექმნის შესახებ მეურნეობა ნაკლებად ზრუნავს.** მეურნეობაში ადგილი აქვს მუშათა ცვალებადობას.

მუშა-ხელის ცვალებადობას იწვევს შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა, მუშათა ბინების უქონლობა კოოპერაციის უთავბოლოთ მუშაობა და მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობების უგარანტიობა.

სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ სამეურნეო იარაღ-მანქანებისადმი. არსებობს გაუპირობნება. არ სწარმოებს მექანიზაციის რაციონალურად გამოყენება. 9 ურემიდან, დამსხვრეულია 6, 13 ხარიდან მუშაობს მხოლოთ 6. ოთხი ცხენი მოუვლელობით დაიხოცათ, დაზიანებულია კულტივატორები და სხვა.

„საქართველოს ჩაის“ ძველ ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის წყალობით ნარაზენის საბჭოთა მეურნეობა ვერ ეღირსა საწარმონო-საორნინო გეგმას. **ორი წლის განმავლობაში არ ჰქონია გეგმა. 1930 წლის გეგმა „საქართველოს ჩაი“-ს ცენტრ. აპარატიდან მეურნეობამ მიიღო მხოლოთ 1931 წელში! 1931 წლის კი 21 დეკემბერს, მაშინ, როდესაც მეოთხე კვარტალი მიწურული იყო. მეურნეობა მუშაობდა მხოლოთ „წინაურული“ გეგმით.**

მეურნეობაზე საერთოდ ძალზე სუსტია კოოპერაციული ხელმძღვანელობა ცენტრიდან „საქართველოს ჩაის“ ხაზით. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე ხელმძღვანელობა რაიონის მხრივაც.

ნარაზენის საბჭოთა მეურნეობას აქვს მიღწევებიც, როგორიცაა **სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლა, პროგრესიული სანარდო სისტემის გატარება,** და სხვ. მაგრამ მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ ჩაბმია ჩვენთა მუშაობის ისე გართაშენის საქმეში, რომელიც დაგვისახა ამხ. **სტალინმა** თავის ექვს ისტორიულ მითითებაში.

საჭიროა ამ დეფექტების ძირფესვიანად აღმოფხვრა. საჭიროა მეტი მოქნილობა და ინიციატივა მოშაობაში.

შ. ჯან—ძე.

מכירה פומבית

ביום ראשון, ב' אלול תרצ"ב, 28 באוגוסט 1932, בשעה 10 לפנה"צ, בחצר בית המכירות של **ש. ברנשטיין ושות'**, רח' הירקון 15, תל-אביב, ימכרו בפומבי:

מכונת כתיבה "אוליבר" חדשה, שלא נעשה בה כל שימוש.

מכונת כתיבה "רמינגטון" מס' 7, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 11, במצב טוב.

מכונת כתיבה "רמינגטון" מס' 3, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 3, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 5, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 9, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 4, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 2, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 1, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 6, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 8, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 10, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 12, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 13, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 14, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 15, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס' 16, במצב טוב.

מכונת כתיבה "אוליבר" מס'